

პავშირი
"მეცნიერება და ენერგეტიკა"

კ ბ ე რ გ ი ნ

სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი

1(81)/2017
თბილისი

ს ა რ ჩ ე ვ ი

გვ.

ძ.პახიანი, გ.ცხომელიძე. შენობების ვენტილაციისა და გათბობა-გაგრილების ავტომატური მართვის სისტემების კვლევა-დამუშავება.	6
გ.ჯაბარჯავალიძი, რ.პატარაია, გ.გიგიძერია, გ.პატარაია. ენერგიის მამრავლებელი ელექტროსადგურების რეალიზების შესაძლებლობა ხრამშეს-І მაგალითზე.	11
ღ.ნამდალაძე, გ.გაგუა. საშუალო წნევის გაზსადენის გაზის მოხმარების პროცენტიზების ალბათური მახასიათებლების დადგენა.	18
ღ.ნამდალაძე, თ.კიზირია, გ.ცივარავალიძი. ექსპლუატაციაში მყოფი კოროზიუმებული ნავორბსადენის ტექნიკური მდგრმარეობის პროცენტიზება ალბათური მეთოდებით.	24
იგ.პირველი. ბუნებრივი გაზის სექტორის ობიექტების ტექნოლოგიის რისკის პროცენტიზების ფორმირება.	31
გ.გახარაძე, ი.გახარაძე. საქართველოს პიდროვნერგეტიკის ოპტიმალური განვითარების საკითხები.	36
ზ.გოგიანიძე. მარცხენა და მარჯვენა ხელის კანონზომიერების განხილვა მაგნიტური ველების ურთიერთმოქმედების დახმარებით.	40
ზ.გველლიშვილი. ერთფაზიანი ასინქრონული, კომპენსირებული თანმიმდევრობითი ელექტროძრავის თვითაგზნების ანალიზი.	44
ი.ბიჯამიშვილი. მცირე სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურების ელექტრული გენერაცორები.	48
თ.გუსელიანი, გ.გუსელიანი, გ.ცოფურავალიძი. ელექტრომაგნიტური ველის ელექტროსტატიკური მდგანელების განსაზღვრა ანალიზური მეთოდით.	53
ზ.სიმონებულავალიძი, გ.ჭურლაძე. სილიკონგანუმის დნობის პროცესის ოპტიმიზაცია მანგანუმის და სილიციუმის სასარგებლო გამოყენების გაზრდის მიზნით.	58
ა.კაპიაშვილი, გ.გოგიანიძე, თ.გოგაძე, თ.გურუპური. ნახშირზე მოშუშავე თბოელექტროსადგურების ნაცრის გამოყენებით ტიტანის შემცველი მრავალეომანენტიანი შენადნობის მიღების შესაძლებლობის გამოკვლევა.	63
თ.ჯიქია, ა.კოხაშვილი. საქართველოს ელექტროსისტემის კვანძების ენერგომომარაგების სამედოობის საანგარიშო პარამეტრები.	67
გ.ხარიძე. მუდმივი დენის ჩანართის გამმართველ-ინვერტორული ქვესადგურის რეჟიმების ანალიზი.	72
ა.კოხაშვილი. ენერგოსისტემის მოძრაობის განტოლების ამოხსნა ანალიზური მეთოდით.	78
გ.ცხომელიძე, კ.პახიანი. ავტომატური მართვის და ტექნიკური მენეჯმენტის სისტემების, შენობების ენერგოუფექტურობაზე, გავლენის და შეფასების მეთოდების შედარებითი ანალიზი.	82
მ.გერმალიშვილი. ზ., დოდოლაძე 6. ნატრიუმ-კათიონიტური ფილტრების რეგენერაციისათვის სარეცხი საშუალებების ჩამდინარე წყლების გამოყენება.	86
ა.ზრანგიშვილი, გ.გახანიძე, გ.გოგიანიძე, დ.გვლენიძე, ლ.გვლენიძე, თ.პერპერავალიძი. ნახმარი საბურავების უტილიზაციის ახალი ტექნოლოგია.	91
შ.პატარიძე, 6.ლონდოლაძე. მიწის ნაგებობების დამამუშავებელი მანქანების უხელსაყოფლენი კომპლექტის შერჩევისათვის.	94
შ.პატარიძე, ნანა ლონდოლაძე. სამონტაჟო ამწევების მწარმოებლურობის ამაღლების საკითხისათვის.	98
რ.სხვიტარიძე, გ.ეშელაგა, გ.ტურმელაძე, გ.აპაზაძე, თ.კაპაშავალიძი, დ.გეღუპაძე, თ.ჯაჯანიძე. თიხაფიქლის გამოყენების შესაძლებლობის კვლევა საგზაო და ჰიდრო-ტექნიკური მშენებლობებისათვის.	101
გ.ლორთიშვილიძე, თ.ჯოჯუა, 6.ლოზორიშვილი, ი.სალუქვაძე, თ.გიორგიშვილიძი. მრავალჯერადი და პულსირებით დატვირთული ბეტონის ცოცვადობისა და ჯდენის დეფორმაციების კვლევა.	105
რ.არგვლაძე. ელექტროენერგიის საწარმოებლად მზისა და ქარის ენერგიის გამოყენების პერსპექტივები საქართველოში.	110
სმეგი. "ნეტო აღრიცხვის" დანერგვის მარეგულირებელი ჩარჩოები.	117

შეცოგების ვენტილაციისა და გათბობა-გამოილების ავტომატური მართვის სისტემების კვლევა-დამუშავება. ქ. ახარი, გ. ცხომელიძე. "ენერგია". №1(81). 2017. თბილისი. გვ. 6-10. ქართ. ანოტ. ქართ. ინგლ. რუს.

წარმოდგენილია საგაჭრო ცენტრის, პარტიის გათბობა-გაგრილების და ვენტილაციისა მართვის ავტომატურ სისტემის დამუშავების შედეგები, Schneider Electric-ს პროგრამირებადი ლოგიკური კონტროლერების ბაზაზე. ნაჩვენებია შემუშავებულ მართვის სისტემაში ალგორიტმებისა და მართვის სტრუქტურის ცვლილების შეტანის შესაძლებლობა. აღწერილია მართვის სისტემის შემადგენლობაში შემავალი ინდენტიფიკაციისა და ოპტიმიზაციის პროგრამული უზრუნველყოფის ინტეგრირება. ილ. 2, ლიტ. 4.

მცხოვრილი მართვლების ელექტროსალგურების რეალიზების შესაძლებლობა სრამებს-I მაგალითზე.

ცჯამარჯაშვილი რ. აბარაია, გ. გიგიძერია, ქ. აბარარაა. "ენერგია". №1(81). 2017. თბილისი. გვ. 11-17. ქართ. ანოტ. ქართ. ინგლ. რუს.

მიღწეულმა პროგრესმა ქარისა და მზის ენერგიის ათვისების სფეროში, კერძოდ მზის ფოტოვოლტიკების ბრტყელი პანელების დანერგვით და ქარის გაუმჯობესებულმა ენერგეტიკული დანადგარების ღირებულების მკვეთრმა შემცირებამ საშუალება მოგვცა განგვეხორციელებინა ისეთი ინოვაციური იდეები, რომელიც საშუალებას მოგვცემს მკვეთრად გავაფართოვოთ წყლის ენერგიის ათვისების პიდროვენერგეტიკული სფერო. კერძოდ, შესაძლებელი გახდა დაურეგულირებები ქარისა და მზის ენერგოდანადგარების მეშვეობით მიგვედწია გაცილებით უფრო იაფი დარეგულირებული პიდროვენერგიის მიღება. ამოცანის პრაქტიკული რეალიზების შესაძლებლობა გამოვლინდა ხრამებს-I მაგალითზე, სადაც მიღწევადი გახდა არა მარტო ენერგიის დარეგულირება, არამედ მისი რაოდენობრივი გაზრდა პრაქტიკულად 2-ჯერ. ცხრ. 1, ლიტ. 4.

საშუალო შევის გაზსადენის გაზის მოხმარების პროგნოზირების აღბათური მახასიათებლების დადგმენა. დ. ნამგალაძე, გ. გაგუა. "ენერგია". №1(81). 2017. თბილისი. გვ. 18-23. ქართ. ანოტ. ქართ. ინგლ. რუს.

წარმოადგენილია ბუნებრივი გაზის მოხმარების ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა, კერძოდ, რაციონალური მოხმარება და პროგნოზი. ნაშრომის მიზანია შეიქმნას მეცნიერულად დასაბუთებული, ნატურულ მონაცემებზე დაყრდნობილი თეორია, რომლის საშუალებით შესაძლებელია გაზგამანაწილებელი ქსელების გაზის მოხმარების პროგნოზირება, საიმედოობის გაზრდა, რისკების პროგნოზირება, შესაბამისი ღონისძიებების შემუშავება და ეკონომიკური ეფექტურობის ამაღლება. განხილულია გაზის მოხმარების მწერივის ავტომორელაციური ფუნქცია, რომელსაც ახასიათებს ზომიერი ტრენდი და მკვეთრი სეზონურობით და აშკარად გააჩნია სეზონური დეტერმინანტა. მიღებული შედეგების საშუალებით შესაძლოა ბუნებრივი გაზის საათური მოხმარების ზუსტი პროგნოზი, რაც შესაძლებელია მწერივის გასაგლუვებლად. ილ. 3, ლიტ. 10.

მქანესალუატაციაში მყოფი კოროზირებული ნავთობსადენის ტენიციური მდგრადი მართვის პროგნოზირების აღბათური აღბათური მეთოდებით. დ. ნამგალაძე, თ. კიზირია, გ. ციცქარაშვილი. "ენერგია". №1(81). 2017. თბილისი. გვ. 24-30. ქართ. ანოტ. ქართ. ინგლ. რუს.

მიწისქვეშა ნავთობსადენებში ადგილი აქვს შიდა და გარე ზედაპირების კოროზიული დეფექტების განაწილება და ზრდა ექვემდებარება შემთხვევითი რიცხვების კანონებს, რომლებიც შესაძლოა გამოვლინდეს ნატურული მონაცემების დამუშავების გზით. ნაშრომის მიზანს წარმოადგენს ნავთობსადენის ტექნიკური მდგომარეობის ალბათური შეფასების მარტივი მეთოდითი შემუშავება, შემოსაზღვრულ უბნებზე ნარჩენი რესურსის გამოკვლევის შედეგების გამოყენებით და მოცემული კრიტერიუმებით. ნაშრომში გამოიყენება ალბათობის თეორიის და მათემატიკური სტატისტიკის ძირითადი დებულებები. დადგენილია ნავთობსადენის საიმედოობის ზღვრული მდგომარეობის ალბათობა. ნაშრომის შედეგების გამოყენება შესაძლებელია ენერგეტიკული ობიექტებისათვის, კერძოდ მაგისტრალური ნავთობ და გაზსადენებისათვის. ილ. 1, ლიტ. 12.

ბუნებრივი გაზის სექტორის ობიექტების ფექტოლოგიის რისკის პროცესირების ურომირება. ივ.პირველი. "ენერგია". №1(81). 2017. თბილისი. გვ. 31-35. ქართ. ანოტ. ქართ. ინგლ. რუს.

გაზის სექტორის ობიექტების მსხვილი ავარიების მიზეზები შესაძლოა იყოს ბუნებრივი ან ტექნოლოგიური ხასიათის. მათი ლიკვიდაციის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ავარიების წარმოქმნის თანამედროვე პროგნოზის მიერავართ ავარიების მასშტაბების შემცირებასთან და შემარბილებელ მნიშვნელოვან შედეგებთან. საშიში ობიექტების ფუნქციონირებისას, ავარიის საპროექტო რისკი მდგომარეობს იმაში, რომ ყოველთვის არსებობს ადამიანების და მოწყობილობის დაზიანების აღმართობა. რაც ნაკლებია საპროექტო ავარიის შედეგების პროგნოზი, მით უფრო სასურველია რისკის შემცირება. ნაშრომში განხილულია ჩვენ მიერ შემუშავებელი საპროექტო რისკის კრიტერიუმის ანალიზური მეთოდი. ილ. 2, ლიტ. 10.

საქართველოს პილოტერგების რაფიმალური განვითარების საპიონები. გ.მახარაძე, ი.მახარაძე. "ენერგია". №1(81). 2017. თბილისი. გვ. 36-39. ქართ. ანოტ. ქართ. ინგლ. რუს.

განხილულია საქართველოს ტერიტორიაზე ახლადასაშენებელი ჰესების ოპტიმალური გაადგილებისა და მათი ოპტიმალური დადგმული სიმძლავრის დადგენის საკითხი.

ნაჩვენებია, რომ საქართველოს შიგა მოხმარებისა და სამხრეთის მიმართულებით (თურქეთი, სომხეთი) ექსპორტის ზრდის გათვალისწინებით, პირველ ეტაპზე ეპონომიკურად პრიორიტეტულია შიდა ქართლის (თბილისის ჩათვლით), სამცხე-ჯავახეთისა და აჭარა-გურიის პილოტენერგორესურსების ათვისება. ილ. 1, ლიტ. 7.

მარცხენა და მარჯვენა ხელის კანონობიერების განხილვა მაგისტრი ველების ურთიერთობისადმების დახმარებით

ზ.გობიანიძე. "ენერგია". №1(81). 2017. თბილისი. გვ. 40-43. რუს. ანოტ. ქართ. ინგლ. რუს.

ელექტრომექანიკურ გარდამსახებში ენერგიის გარდაქმნის კანონების ილუსტრაცია სახელმძღვანელოებში, დამსარე სახელმძღვანელოებში, ცნობარებში, პოპულარულ ლიტერატურაში და ა.შ., ხდება მარჯვენა და მარცხენა ხელის წესის საშუალებით.

ელექტროენერგიის მექანიკურ ენერგიად გარდაქმნის პროცესი დაწვრილებით, მრავალფეროვნად აღწერილია ნახაზების, მაგნიტური ველების, გექტორული ალგებრის და ა.შ. საშუალებით. თუმცა არც ერთ სახელმძღვანელოში არ არის აღწერილი ენერგიის გარდაქმნის უგუპონცესი, ერთოდ მექანიკური ენერგიის გარდაქმნა ელექტრულად.

მოცემულ ნაშრომში დაწვრილებით აღწერილია გამტარში მექანიკური ენერგიის ელექტრულად გარდაქმნის პროცესები, მაგნიტური ველების ურთიერთქმედების საშუალებით. ილ. 2, ლიტ. 5 დას.

მრთვაზიანი ასისტერცული, კომანდისირებული თანამდევრობითი ელექტრო-ძრავის თვითაგზნების ანალიზი. ზ.მუკლიშვილი. "ენერგია". №1(81). 2017. თბილისი. გვ. 44-47. ქართ. ანოტ. ქართ. ინგლ. რუს.

წარმოდგენილ ნაშრომში გაანალიზებულია ერთფაზიანი კომპენსირებული ასინქრონული ელექტროძრავის მუშაობის პრინციპი. შედგენილია მისი ნორმალური და თვითაგზნებითი მუშაობის დროს მიმდინარე ელექტროძრავის პროცესების აღმწერი მათემატიკური მოდელი, კომპლექსური ცვლადის ფუნქციების გამოყენებით. ილ. 1, ლიტ. 10 დას.

აცირე სიმაღლარის პილოტელექტროსადგურების ელექტრული გენერატორების მიმდევრი. ი.ბიჯამოვი. "ენერგია". №1(81). 2017. თბილისი. გვ. 48-52. რუს. ანოტ. ქართ. ინგლ. რუს.

მოყვანილია მცირე სიმძლავრის პილოტელექტროსადგურების კლასიფიკაცია სიმძლავრის მიხედვით და განხილულია მათი მუშაობის არსებული ელექტრული სქემები. აღნიშნულია მათში ასინქრონული ან სინქრონული გენერატორების გამოყენების დადებითი და უარყობითი მხარეები. ნაჩვენებია, რომ ამა თუ იმ გენერატორების მცირე ჰესების სქემებში გამოყენების ეკონომიკური უფექტურობა დამოკიდებულია რიგი ფაქტორებისაგან, რომელთა შორისაა სადგურის აღგილდებარეობა და საანგარიშო სიმძლავრე, ახლობლად ენერგოსისტემის ელექტრული ქსელების არსებობა, გენერატორებისა და კონდენსატორების ბატარეების ლირებულება, ელექტროენერგიის დანაკარგების დირებულება და სხვ. ცხრ.1, ლიტ. 6 დას.

ელექტრომაგნიტური ველის ელექტროსტატიკური მდგრელების განსაზღვრა ანალიზური მთოლით. ო.მუსელიანი, გ.მუსელიანი, გ.ცოფურაშვილი. "ენერგია". №1(81). 2017. თბილისი. გვ. 53-57. ქართ. ანოტ. ქართ. ინგლ. რუს.

ელექტრომაგნიტური ველის თეორიის საფუძველზე მაქსველის განტოლებათა სისტემის გამოყენებით მიღებულია ელექტრომაგნიტურ ველში მყოფ ობიექტზე მოქმედი ელექტროსტატიკური მდგრელების გამოსახულებები, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იქნენ ცოცხალ ორგანიზმში გამავალი წანაცვლების დენისა და, შესაბამისად, ელექტრული ველის დაძაბულობის ზღვრულად დასაშვები მნიშვნელობის განსაზღვრისათვის. ილ. 1, ლიტ. 4 დას.

სილიკონანგაუმის დეობის პროცესის ოპტიმიზაცია მანგანუმის და სილიციუმის სასარგებლო გამოყენების გაზრდის მიზნით. ზ.სიმონგულაშვილი,

გ.ქურდაძე. "ენერგია". №1(81). 2017. თბილისი. გვ. 58-62. ქართ. ანოტ. ქართ. ინგლ. რუს.

განხილულია ელექტროლუმელებში სილიკონანგანუმის დნობის დროს მანგანუმის და სილიციუმის ნახშირბადით ერთორულად აღდგენის ზოგიერთი ფიზიკურ-ქიმიური თავისებურებები. დადგენილია, რომ სილიკატების წარმოქმნის პროცესი დამუხრუჭებულია და მიმდინარეობს ძირითადად აიროვან ფაზაში, ხოლო მანგანუმის და სილიციუმის აღდგენის სიჩქარე კი იზრდება.

კაზში ტუტე ლითონების ალუმოსილიკატების გამოყენება და მეტალურგიული კოქსის ნაწილობრივ შეცვლა ნახშირით საშუალებას გვაძლევს გავზარდოთ მანგანუმის და სილიციუმის სასარგებლო გამოყენება და გავაუმჯობესოთ დნობის ძირითადი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები. ილ. 1, ცხრ.1, ლიტ. 10 დას.

ნახ შირზე მომუშავე თბოელექტროსალგურების ნაცრის გამოყენების განვითარების შემთხვევაში მრავალ მიზანით გამოყენების განვითარების მიზნით. ა.ა.აბიაშვილი, გ.გოგიაშვილი, ო.მიქაელი, თ.ბუჩქური. "ენერგია". №1(81). 2017. თბილისი. გვ. 63-66. ქართ. ანოტ. ქართ. ინგლ. რუს.

ფოლადის წარმოებაში ფართოდ გამოყენება კომპლექსური შენადნობები. დამუშავებულია კომპლექსური გამუნგებელების მიღება სუფთა ლითონების შელღობით, ოქსიდური ნაერთების კარბოთერმული და ალუმინთერმული აღდგენის მეთოდებით.

სამუშაოს მიზანია, ტიტანის შემცველი მრავალკომპონენტიანი შენადნობის მისაღებად ნახშირზე მომუშავე თბოელექტროსალგურების ნაცრის, გამოყენებული ალუმინის ქილების, ტიტანის შენადნობების ბურბუშვლას, საყოფაცხოვრებო ქიმიის ცარიელი პოლიმერული ტარის გამოყენების შესაძლებლობის გამოკვლევა.

მოცემულია მრავალკომპონენტიანი შენადნობების მისაღები კაზშების რაციონალური შედგენილიბა. შესწავლილია კაზშების აალების ხელის მიღებით თბოუნარიანობა. ჩატარებულია შენადნობის მიღების ექსპერიმენტები ლაბორატორიულ პირობებში. დადასტურებულია სამრეწველო და საყაოფაცხოვრებო ნარჩენების გამოყენებით ტიტანის შემცველი მრავალკომპონენტიანი შენადნობის მიღების შესაძლებლობა. ცხრ.3, ლიტ. 8 დას.

საქართველოს ელექტროსტატიკუმის პრანქების ენერგომომარაგების საქართველოს სამიმდობარი კარამეტრები. თ.ჯიქია, ა.კოხტაშვილი. "ენერგია". №1(81). 2017. თბილისი. გვ. 67-71. ქართ. ანოტ. ქართ. ინგლ. რუს.

საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა საშუალებას გვაძლევს შექმნათ საიმედო ელექტრული კავშირები. დღეს აქტუალურია საკითხი, რომელიც გულისხმობს საქართველოდან ექსპორტს და საქართველოს გავლით ელექტროენერგიის ტრანზიტს თურქეთში. ამ ამოცანათა წარმატებით გადაწყვეტის ერთ-ერთ ფაქტორს ქსელში ელექტროენერგიის გადაცემის საიმედოების დონე წარმოადგენს, რომელიც, თავის მხრივ, ელექტროგადაცემის ხაზების მზადყოფნის კოეფიციენტთა ფუნქცია. ხაზების მზადყოფნის კოეფიციენტები, როგორც წესი, გამოითვლება მრავალწლიანი დაკვირვებების საფუძველზე ამ ხაზების აგარიული და გეგმიური ამორთვების სტატისტიკური მონაცემების მიხედვით.

საქართველოს ელექტროსტატიკუმის ელექტროგადაცემის ხაზების მზადყოფნის კოეფიციენტები მიღებულია ბოლო 5 (2011-2015) წლის სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე. ეს პარამეტრები საშუალებას მოგვცემს პრაქტიკისათვის საქმარისი სიზუსტით დავადგინოთ ქსელის კვანძების ელექტრომომარაგების დონე. ცხრ. 2, ლიტ. 4 დას.

მუდანი დენის ჩანართის გამართველ-ინვერტორული ქვესადგურის რეზისტრის ანალიზის ანალიზი. გ. ხაჩიძე. "ენერგია". №1(81). 2017. ობილისი. გვ. 72-77 ქართ. ანოტ. ქართ. ინგლ. რუს.

განხილულია მუდმივი დენის (მდჩ-ის) ჩანართის გარდამქნელის მუშაობის რეჟიმები. [1] გარდამქნელი შეიცავს გამმართველსა და ინვერტორს. მიღებულია ძირითადი თანაფარდობები გამმართველისა და ინვერტორისთვის. გაანგარიშებულია სქემაში დენების მყისი მნიშვნელობები. გაანალიზებულია კომუტაციური პროცესი.

მოყვანილია ორი ენერგოსისტემის შემაერთებელი ე.ტ.ხ-ზე მოკლედ შერთვის დენების ოსცილოგრამები. ოსცილოგრამებიდან ჩანს, რომ ერთ სისტემაში მიმდინარე პროცესები ნაკლებად აისახება მეორე სისტემის მუშაობაზე. ილ. 3, ლიტ. 1 დას.

მერგოსისტემის მოძრაობის განცოლუბის ამოსსნა ანალიზური მეთოდით.

ა. უსტაშვილი. "ენერგია". №1(81). 2017. ობილისი. გვ. 78-81 ქართ. ანოტ. ქართ. ინგლ. რუს.

გენერატორის ენერგოსისტემის მოძრაობის განტოლების ანალიზური ამოსსნა მდგრადობის ერთ-ერთი რთული ამოცანაა, რომლის გადაწყვეტა საშუალებას იძლევა თვალსაჩინოდ იქნას წარმოდგენილი დამოკიდებულება სისშირეს, აქტიურ სიმძლავრის ბალანსსა და გენერატორის (ენერგოსისტემის) ინერციის მუდმივას შორის.

შემუშავებული იქნა მიღომა, რომლის საშუალებით შესაძლებელი გახდა მოძრაობის განტოლების ამოსსნა სისშირის (სრიალის მიმართ). დადგინდა, რომ სისშირის გადახრის ამპლიტუდა პროპორციულია სიმძლავრის უბალანსობის და უბუპროპორციულია სიჩქარის რეგულატორისა და დატვირთვის მახასითებლების უფექტის, ხოლო სისშირის გრადიენტი უკუპროპორციულია სისტემის ინერციის მუდმივასი. ლიტ. 2 დას.

ავტომატური მართვის და ტექნიკური მემკვიდრეობის სისტემების, მემკვიდრეობის მერგოვანებულობაზე, გავლენის და უვასების მეთოდების შედარებითი ანალიზი. გ. ცხომელიძე, კახახიანი. "ენერგია". №1(81). 2017. ობილისი. გვ. 82-85 ქართ. ანოტ. ქართ. ინგლ. რუს.

წარმოდგენილია შენობა-ნაგებობების, ავტომატური მართვის და ტექნიკური მენეჯმენტის სისტემების შეფასების თანამედროვე მეთოდების შედარებითი ანალიზი. დადგენილია შენობების ენერგოუექტურობის ზრდის პრიორიტეტები მართვის სისტემების დანერგვისას და მათი გაუმჯობესებისას. მოცემულია ევროპული სტანდარტით ავტომატიზაციის დონის მიხედვით შენობების კლასიფიკაცია. განსაზღვრულია საქართველოში ჩასატარებელი ღონისძიებები, ახლად აშენებული საზოგადოებრივი თავშეყრის შენობების, ავტომატური მართვის და ტექნიკური მენეჯმენტის სისტემების შეფასებისა და სერტიფიცირებისას. ილ. 2, ლიტ. 5 დას.

ნატრიუმ-კატიონიტური ფილტრების რეგენერაციისათვის სარეცესი საშუალებების ჩამდინარე ფყლების გამოყენება.

მეცნიერებული ზ., დონდოლაძე ზ. "ენერგია". №1(81). 2017. ობილისი. გვ. 86-90 ქართ. ანოტ. ქართ. ინგლ. რუს.

განხილულია ნატრიუმ - კატიონიტური ფილტრების რეგენერაციისათვის სარეცესი საშუალების "პროგრესის" წარმოების დანადგარიდან წარმოქმნილი სულფატური ჩამდინარე წყლების გამოყენება. მოყვანილია დამოკიდებულება, რომელიც საშუალებას იძლევა ვიანგარიშოთ ქვაბში მოხვედრილი ზედაპირულად აქტიური ნივთიერების რაოდენობა. სულფატური ჩამდინარე წყლების გამოყენებით ჩატარებულია 25-ზე მეტი ფილტროციკლი, რომლებმაც უჩვენა, რომ ჩანატვირთის მუშა მიმოცვლითი მოცულობა მთლიანადაა შენარჩუნებულია და შეადგენს 270 – 300 გ-ეკგ/მ³. ილ. 2, ცხრ. 3, ლიტ. 7 დას.

ნახმარი საბურავების უტილიზაციის ახალი ტექნოლოგია.

ა. ფრანგიშვილი, ზ. გასიტაშვილი, გ. გოგია, მ. გელენიძე, დ. გელენიძე, თ. ბერბერაშვილი. "ენერგია". №1(81). 2017. ობილისი. გვ. 91-93. ინგლ. ანოტ. ინგლ. რუს.

საქართველოში ყოველწლიურად დაახლოებით 2 მლნ. ნახმარი საბურავია გადასაგდები, მათი განადგურება კი სერიოზულ ეკოლოგიურ პრობლემებთან არის დაკავშირებული.

ჩვენ მიერ შექმნილ ღუმელში შესაძლებელია ნახმარი საბურავების ახალ ტექნოლოგიურ ციკლში ჩართვა, რის შედეგადაც ხდება საბურავებისა და მისი ლითონის

კორდის განცავება და, აგრეთვე, რაც ძალზე მნიშვნელოვანია, თხევადი საწვავის მიღება. პროცესი ეკოლოგიურად სუფთაა და მიღებული საწვავის რაოდენობა დაახლოებით ტოლია ამჟამად საქართველოში მოპოვებული ნავთობის რაოდენობისა.

ყოველივე ამასთან ერთად მიღებული საწვავის თბოუნარიანობა თითქმის უტოლდება ნედლი ნავთობის თბოუნარიანობას. ილ. 1.

მიღის ნაგებობების დამამუშავებელი მაცეავების უხელსაყრელისი პომალექტის შემჩენილისათვის. შპაქანიძე, ნდონდოლაძე. "ენერგია". №1(81). 2017. თბილისი. გვ. 94-97. ქართ.. ანოტ. ქართ. ინგლ. რუს.

მიწის სამუშაოების მანქანათა კომპლექტებით წარმოების ხერხს, ტექნიკურ-ეკონომიკური თვალსაზრისით, უდავო უპირატესობა აქვს ცალქეული მანქანებით სამუშაოთა წარმოებასთან მიმართებაში. ამიტომ საჭიროა, მიწის სამუშაოთა მექანიზებული წესით წარმოებისას, მათი ვარიანტული დაპროექტება მანქანების შესაძლო კომპლექტების გათვალისწინებით და უხელსაყრელების შერჩევა.

რიცხვითი მაგალითის საფუძველზე დასაბუთებულია ასეთი გაანგარიშებების სარგებლიანობა როგორც მენაშენეთათვის, ასევე სამშენებლო ფირმებისათვის. ცხრ.1, ლიტ. 2.

სამონტაჟო აღმასახის მართვისას ამაღლების საპითებისათვის.

შპაქანიძე, ნანა დონდოლაძე. "ენერგია". №1(81). 2017. თბილისი. გვ. 98-100. ქართ.. ანოტ. ინგლ. რუს.

სამონტაჟო ამწევების ეფექტურობის დონეს განსაზღვრავს მისი მწარმოებლურობა, ანუ დროის ერთეულში (როგორც წესი, ერთ ცვლაში) დამონტაჟებული სამშენებლო კონსტრუქციების რაოდენობა, რაც, თავის მხრივ, დაკავშირებულია 1 კონსტრუქციის დამონტაჟების სანგრძლივობასთან (ერთი სრული ციკლის სანგრძლივობასთან).

სამონტაჟო ამწევების მონტაჟისას უწევთ შემდგები ოპერაციების შესრულება: პორიზონტალური გადაადგილება, ისრის აწევა-დაწევა, მობრუნება. თითოეულ მათგანზე დროის დანახარჯის შემცირება ამცირებს ციკლის სანგრძლივობას, რითაც მაღლდება სამონტაჟო ამწის გამოყენების ეფექტურობის დონე.

რიცხვითი მაგალითის საფუძველზე დასაბუთებულია ზემოაღნიშნული მოსაზრება. ლიტ. 2.

თისაფიქლის გამოყენების შესაძლებლობის კვლევა საგზაო და პილო-ტექნიკური მშენებლობებისათვის. რ.სხვიტარიძე, ბ.ეშელავა, მ.ტურძელაძე, მ.აბაზაძე, თ.აპუაშვილი, დ.ბერუჟაძე, თ.ჯაჭანიძე. "ენერგია". №1(81). 2017. თბილისი. გვ. 101-104. ქართ.. ანოტ. ქართ. ინგლ. რუს.

საგზაო და პილოტექნიკური დანიშნულების ნაგებობებისათვის განკუთვნილ ცენტრბეტონებში დურუჯის ხეობაში აგუმულირებული თიხაფიქლის გამოყენების დასადგენად, შესწავლილია თიხაფიქლის მსხვრევადობა, ცვეთადობა და ყინვამედეგობა შესაბამისი სტანდარტების მოთხოვნების გათვალისწინებით; მიღებულია თერონანო-დამუშავებით მეტათიხაფიქლის დანამატი ბეტონის მოდიფიცირებისათვის. ლიტ. 4. დას.

მრავალჯერად და აულსირებით დაფიქტული ბეტონის ცოცვადობისა და ჯდენის დაცორმაციების კვლევა. მლოროტერიული თეროზუა, ნ.ბოჭორიშვილი, ი.სალუქვაძე, ოგიორგიშვილი. "ენერგია". №1(81). 2017. თბილისი. გვ. 105-109. რუს. ანოტ. ინგლ. რუს.

ჯდენითი და ცოცვადობის დეფორმაციების კვლევა ჩატარდა ბეტონის პრიზმებსა და კუბებზე, რომლებსაც წინასწარ ქონდათ მოდებული მრავალჯერადი და პულსირებული დაწვირთვები. ექსპერიმენტების შედეგად დაღინდა, რომ ბეტონის ცოცვადობის დეფორმაციის მრუდებს, რომლებსაც წინასწარ ქონდათ მოდებული მრავალჯერადი და პულსირებული დატვირთვები, სიღილით დაახლოებით ერთნაირია და ცოცვადობის დეფორმაციების სიღილეების განსაზღვრისას არ აქვს მნიშვნელობა წინასწარ დატვირთვის სახეს, იქნება ეს მრავალჯერადი თუ პულსირებული. იგივე დასკვნის გაპეტება შეიძლება ჯდენის დეფორმაციებზეც. ამ შემთხვევაშიც წინასწარ დატვირთვის სახე არ ცვლის ჯდენის სიღილეს. წინასწარ დამუშავებული ბეტონების ცოცვადობისა და ჯდენის დეფორმაციები გაცილებით ნაკლებია დაუმუშავებელ საბაზისო ბეტონებისაზე. ილ. 1, ლიტ. 5 დას.

**ელექტროენერგიის საჭაროებლად მზისა და ქარის მცენობის გამოყენების
პერსპექტივები საქართველოში. რ.არგელაძე. "ენერგია". №1(81). 2017. თბილისი. გვ.
110-116. ქართ. ანოტ. ქართ. ინგლ. რუს.**

სტატიის მიზანია წარმოაჩინოს ის ფაქტორები, რომელთა გათვალისწინებითაც უნდა
მოხდეს სამომავლოდ საქართველოში ამა თუ იმ ენერგიაშემცველის ბაზაზე ელექტრო-
სადგურების მშენებლობა.

ნაჩვენებია, რომ უახლოესი 15-20 წლის განმავლობაში საქართველოს ენერგოსისტემის
განვითარება უნდა განხორციელდეს უპირატესად პიდრო-ენერგეტიკული რესურსების
გამოყენებით.

ქარისა და მზის ელექტროსადგურების მასშტაბური მშენებლობა უნდა დაიწყოს
დაახლოებით 15-20 წლის შემდეგ, როდესაც საქართველოს ენერგოსისტემა ბევრად უფრო
მძლავრი იქნება, ქარისა და მზის ენერგეტიკული დანადგარების ეპონომიკური ეფექტიანობა
საგრძნობლად გაიზრდება და მათი მასშტაბური დანერგვა გავლენას ვერ მოხდენს
ენერგოსისტემის მუშაობის მდგრადობზე,

**"ენერგო აღრიცხვის" დანერგვის მარეგულირებალი ჩარჩოები. საქართველოს
ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია (სემპკი).
"ენერგია". №1(81). 2017. თბილისი. გვ. 117-119. ქართ. ინგლ.**

მომხმარებლის მიერ საკუთარი მოხმარების დაგვალფილებისა და მიკროსიმძლავრის
განახლებადი ენერგიის წყაროების განვითარება საერთაშორისო დონეზე სხვადასხვა
წამახალისებელი პოლიტიკით არის მხარდაჭერილი. წახალისების პოლიტიკა შეიძლება იყოს
შედარებით უფრო აგრესიული ან უფრო ზომიერი. აგრესიული წანალისების პოლიტიკა
ძირითადად ხორციელდება ისეთ ქვეყნებში, სადაც მაღალია წიაღისეული საწვავის
გამოყენებით წარმოებული ელექტროენერგიის მოცულობა და გააჩნიათ მკაცრი
გალღებულებები განახლებადი ენერგიის წილის გაზრდისათვის. ასეთ პირობებში
წახალისების მთავარი ინსტრუმენტია მცირე სიმძლავრის განახლებადი ენერგიის
მწარმოებლებისათვის მაღალი ტარიფების (ე.წ. Feed-in Tariff და ა.შ.) შეთავაზება. ამასთან,
ადსანიშნავია, რომ ასეთი პოლიტიკა აძლიერებს დაწოლას სამომხმარებლო ტარიფებზე და
მოითხოვს განმახორციელებული ქვეყნისგან გარკვეულ ეპონომიკურ გამძლეობას. ზომიერი
წახალისების პოლიტიკა ორიენტირებულია იქითებენ, რომ გამარტივებული წესით,
ადმინისტრაციული თუ სხვა სახის ბიუროკრატიული ბარიერების მოხსნით, უზრუნველყოს
გარკვეული შედავათიანი პირობების დაწესება და მომხმარებლისთვის სტიმულის მიცემა, რომ
საკუთარი სახსრებით ან გარკვეულწილად დონორული ხელშეწყობით განავითარონ
საკუთარი ენერგიის წყაროები და სრულად ან ნაწილობრივ დაიკმაყოფილონ საკუთარი
ენერგომოთხოვნილება. ასეთი სახის პოლიტიკა არ ახდენს შესამჩნევ ზეგავლენას სატარიფო
პროცესებზე და ეფუძნება უფრო სამართლიან საწყისებს.